

„ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრი“ (EMC)

სახელმწიფო საკონსტიტუციო კომისიის თავმჯდომარეს
ბატონ ირაკლი კობახიძეს

სახელმწიფო საკონსტიტუციო კომისიის მდივანს
ქალბატონ თამარ ჩუგოშვილს

სახელმწიფო საკონსტიტუციო კომისიაში განსახილველად წარმოგიდგენთ „ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრის“ (EMC) წინადადებებს საქართველოს კონსტიტუციაში შესატანი ცვლილება/დამატებების თაობაზე.

17 იანვარი, 2017

საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური

2015 წლის ზაფხულში შინაგან საქმეთა სამინისტროსა და უსაფრთხოების სამსახურის გამიჯვნა მნიშვნელოვანი ნაბიჯი იყო ძალაუფლების დეკონცენტრაციის მიმართულებით, თუმცა აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ამ რეფორმამ სამართალდამცავი სისტემის დეპოლიტიზირების და დემოკრატიული მოწყობის, ანგარიშვალდებულებისა და კონტროლის მყარი გარანტიები ვერ შექმნა. სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური განსაკუთრებული ძალაუფლების მქონე, სრულიად დახურულ ორგანოდ წარმოგვიდგება, რომლის ეფექტური საზოგადოებრივი კონტროლი პრაქტიკულად შეუძლებელია.

ამასთან, სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური მნიშვნელოვან სამართალდაცვით ფუნქციებს ახორციელებს და ადამიანის ძირითადი უფლებებითა და თავისუფლებებით დაცულ სფეროში მაღალი ინტენსივობით ჩარევის უფლებამოსილებით არის აღჭურვილი. ამასთან, დღის წესრიგში კვლავაც დგას საკითხი, რამდენად უზრუნველყოფს არსებული ინსტიტუციური გარანტიები პოლიტიკური ოპონენტების, ოპოზიციურად განწყობილი აქტიური ჯგუფებისა და მოქალაქეების დაცვას მათ წინააღმდეგ უსაფრთხოების სამსახურის პოლიტიკური განზრახვით გამოყენებისაგან, მმართველი ხელისუფლების ინტერესების გატარების, მისი ძალაუფლებისა და სტაბილურობის შენარჩუნების მოტივით. შესაბამისად, მნიშვნელოვანია, სამსახურის დამოუკიდებლობის და ნეიტრალიტეტის პრინციპების კონსტიტუციური გარანტიებით უზრუნველყოფა.

ეს შესაძლოა, უზრუნველყოფილ იქნას კონსტიტუციის დონეზე სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის სტატუსის განსაზღვრით. შესაბამისად, მიზანშეწონილად მიგვაჩნია საქართველოს კონსტიტუციაში გაჩნდეს ჩანაწერი სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის შესახებ, რომლითაც განისაზღვრება მისი სტატუსი, საკანონმდებლო ორგანოს წინაშე სამსახურის ანგარიშვალდებულების ფორმა და სამსახურის უფროსის დანიშვნისა და გათავისუფლების წესი. გასათვალისწინებელია, უშიშროების სამსახურზე კონსტიტუციური ჩანაწერის არსებობის გამოცდილება, რომლის ამოღებასაც მოჰყვა სწორედ თავის დროზე იმ რეფორმის განხორციელება, რომლითაც შინაგან საქმეთა სამინისტრო დაუბალანსებელი ძალაუფლებით აღიჭურვა.

➤ სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის საპარლამენტო ზედამხედველობა

სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის საქმიანობასთან დაკავშირებული არაერთი მნიშვნელოვანი ინფორმაცია გასაიდუმლოებულია. უსაფრთხოების სამსახურის უფროსის მიერ პარლამენტის წინაშე ანგარიშის წარდგენა კი, ვერ უზრუნველყოფს სუს-ის საქმიანობაზე რეალური კონტროლის განხორციელებას. ეს აჩვენა ბოლო გამოცდილებამაც, როდესაც რამდენიმე მცდელობის მიუხედავად, ვერ მოხერხდა პარლამენტის მიერ უსაფრთხოების სამსახურის ანგარიშის მოსმენა. საპარლამენტო კონტროლის განხორციელებას აფერხებს სპეციალური ფორმატის არარსებობა, რომელსაც ექნება ფართო უფლებამოსილება მონიტორინგი გაუწიოს სუს-ის საქმიანობას. იმ გარემოების მხედველობაში მიღებით, რომ ფართო მანდატის მქონე საპარლამენტო კომიტეტები ვერ აკმაყოფილებენ სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურებზე ზედამხედველობისათვის აუცილებელ მოთხოვნებს, ბევრმა დემოკრატიულმა სახელმწიფომ არჩევანი გააკეთა პარლამენტის შიგნით სპეციალური საზედამხედველო კომიტეტის შექმნის სასარგებლოდ.¹ შესაბამისად, **კონსტიტუციით უნდა**

¹ob. Parliamentary oversight of Security and Intelligence Agencies in European Union, ხელმისაწვდომია: <http://www.europarl.europa.eu/>

განისაზღვროს პარლამენტის წინაშე უსაფრთხოების სამსახურის ანგარიშვალდებულების ფორმა და პროცედურა. მნიშვნელოვანია, თავად კონსტიტუციამ მიუთითოს, რომ სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური ანგარიშვალდებულია პარლამენტში, უსაფრთხოების სექტორის კონტროლის მიზნით, შექმნილი სპეციალური კომიტეტის² წინაშე;

- სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის უფროსის დანიშვნისა და მისი უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის პროცედურები

უსაფრთხოების სამსახურის პოლიტიზირების რისკების შესამცირებლად მისი ინსტიტუციური დამოუკიდებლობა მნიშვნელოვანი გარანტიაა, რაც თავის მხრივ დიდწილად არის განპირობებული უსაფრთხოების სამსახურის ხელმძღვანელის დანიშვნისა და გათავისუფლების წესზე. მიუხედავად იმისა, რომ სამსახურის უფროსის დანიშვნის პროცესი ცდება ხელისუფლების ერთი შტოს კომპეტენციას და გადაწყვეტილების მიმღებად პარლამენტი გვევლინება, არსებული წესი ვერ უზრუნველყოფს სამსახურის უფროსის შერჩევის პროცესის ვიწრო პარტიული ინტერესებისგან დაცვას.³ იმის გათვალისწინებით, რომ პრემიერ-მინისტრი, მთავრობის შემადგენლობა და საპარლამენტო უმრავლესობა არჩევნებში გამარჯვებული, როგორც წესი, ერთი და იგივე პოლიტიკური გუნდია, სამსახურის უფროსის შერჩევის მრავალსაფეხუროვანი სისტემა ვერ აზღვევს კონკრეტული პოლიტიკური ჯგუფის მიერ გადაწყვეტილების ერთპიროვნულად მიღების საფრთხეს. შესაბამისად, უნდა გაიზარდოს საკანონმდებლო ორგანოს როლი, როგორც სამსახურის უფროსის დანიშვნის პროცესში, ასევე მისთვის უფლებამოსილების შეწყვეტისას და აღნიშნული საკითხები კონსტიტუციით დარეგულირდეს.

კონსტიტუციით უნდა დადგინდეს:

ა. სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის ხელმძღვანელისათვის აუცილებელი კრიტერიუმები, რაც ამ პროცესს დაიცავს პოლიტიკური განწყობებით გადაწყვეტილების მიღებისგან;

ბ. პრემიერ მინისტრის მიერ ნომინირებული კანდიდატის საკანონმდებლო ორგანოს მიერ განხილვისა და დამტკიცების პროცედურა, რომლითაც უზრუნველყოფილი იქნება გადაწყვეტილების მიღების პროცესში საპარლამენტო უმცირესობის უშუალო მონაწილეობა.

რაც შეეხება გათავისუფლების საკითხს, კონსტიტუციამ უნდა გაითვალისწინოს უსაფრთხოების სამსახურის ხელმძღვანელის თანამდებობიდან გათავისუფლების განსაკუთრებული პროცედურა, იმპიჩმენტის მექანიზმი.

საქართველოს პროკურატურა

საქართველოს პროკურატურა განსაკუთრებული უფლებამოსილებების მქონე ორგანოა, რომელიც მონაწილეობს მართლმსაჯულების განხორციელებაში. პროკურატურის საქმიანობაში არამართლზომიერი ჩარევის, პოლიტიკური გავლენების ყოველგვარი რისკი გავლენას ახდენს

²სპეციალური კომიტეტი - ე.წ. ჰიბრიდული ბუნების მქონე, ხუთი წევრისაგან დაკომპლექტებული საპარლამენტო საზედამხედველო საბჭო. ჰიბრიდულ მოდელზე საუბრისას, ვენეციის კომისია აღნიშნავს, რომ ამგვარი საზედამხედველო მექანიზმი მოიცავს როგორც ლეგიტიმაციას, ასევე ექსპერტულ ცოდნას და ჰქმნის მისი რეკომენდირების საფუძველს. უდავოა, რომ ეს მოდელი, შვედეთში, დამოუკიდებელი დამკვირვებლების მიერ ზოგადად შეფასებულია როგორც წარმატებული.

³იხ. <https://emc.org.ge/2015/05/05/emc-is-shefasebebi-shss-s-reformaze/>

მართლმსაჯულების ხარისხზე ქვეყანაში, საფრთხეს უქმნის ადამიანის უფლებების დაცვას და საზოგადოებას უკარგავს ნდობას სისხლის სამართლის პოლიტიკისა და მმართველობის სისტემის მიმართ. ამდენად, მნიშვნელოვანია, რომ პროკურატურის სისტემამ, მისთვის კონსტიტუციური ადგილის სწორად განსაზღვრამ, სხვა სამართალდამცავ ორგანოებთან ძალაუფლების სწორმა და დაბალანსებულმა გადანაწილებამ, გამჭვირვალობისა და ანგარიშვალდებულების მექანიზმებმა შექმნას ინსტიტუციური გარანტიები პროკურატურის დამოუკიდებლობის და სისხლისსამართლებრივი დევნის მიუკერძოებლად და ობიექტურად განხორციელებისთვის.

➤ *პროკურატურის ადგილი და სამართლებრივი ბუნება*

პროკურატურის ადგილის განსაზღვრა აღმასრულებელი ხელისუფლების ფარგლებში სამართლებრივად გამართლებული ნაბიჯია. პროკურატურა წარმოადგენს სისხლისსამართლებრივი დევნის ორგანოს, რომელიც სასამართლოში გამოდის როგორც მხარე და მხარს უჭერს სახელმწიფო ბრალდებას. ისე ასევე კოორდინაციას უწევს დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლას.

გამომიების ობიექტურობასა და მის ეფექტურობაზე და ზოგადად, გამომიების მიმართ საზოგადოებრივი ნდობის ხარისხზე გავლენას ახდენს არსებული საპროკურორო ზედამხედველობის სისტემა. დღეს გამომიებისა და პროკურორის როლები ერთმანეთშია აღრეული, რაც ართულებს კონკრეტულ სიტუაციაში პასუხისმგებელი სუბიექტის გამოკვეთას. გარდა ამისა, ეს ასუსტებს ეფექტური საპროკურორო ზედამხედველობის განხორციელებას, რაც საერთო ჯამში გამომიების კანონიერებაზე ახდენს გავლენას.⁴ შესაბამისად, სახელისუფლებო სისტემაში პროკურატურის ადგილთან ერთად, მნიშვნელოვანია, კონსტიტუციით განისაზღვროს მისი სამართლებრივი ბუნება და ის, რომ პროკურატურა წარმოადგენდეს სისხლისსამართლებრივი დევნის განმახორციელებელ ორგანოს, რომელიც ამ ფუნქციის უზრუნველსაყოფად უფლებამოსილი იქნება განახორციელოს გამომიების საპროცესო ხელმძღვანელობა;

➤ *მთავარი პროკურორის დანიშვნისა და გათავისუფლების წესი/იმპიჩმენტის პროცედურა*

პროკურატურის სისტემაზე პოლიტიკური გავლენების რისკი იმდენად არის მაღალი, რამდენადაც პოლიტიკური თანამდებობის პირებსა და კონკრეტული პოლიტიკური ჯგუფის ლიდერებს შეუძლიათ გავლენა მოახდინონ მთავარი პროკურორის, ისევე როგორც სხვა პროკურორების დანიშვნისა და გათავისუფლების პროცესზე, ასევე ჩაერიონ კონკრეტული სისხლის სამართლის საქმის მსვლელობაში. მთავარი პროკურორის დანიშვნისა და გამოწვევის წესი მნიშვნელოვან როლს თამაშობს მთლიანად პროკურატურის სისტემის სწორად ფუნქციონირების გარანტიებზე.⁵

პროკურატურის, როგორც სისხლისსამართლებრივი დევნის წარმმართველი ორგანოს დეპოლიტიზირება და მისი ინსტიტუციური მდგრადობა პრინციპულად მნიშვნელოვანია სამართლიანი მართლმსაჯულების განხორციელებისათვის. ამ კუთხით, მთავარი პროკურორის შერჩევა/დანიშვნის ახალი პროცედურების დანერგვით და თანხმლები საკანონმდებლო ცვლილებებით მნიშვნელოვანი ნაბიჯი გადაიდგა, თუმცა ზემოაღნიშნული მიზნები კვლავაც არა არის

⁴ იხ. <https://emc.org.ge/2016/11/17/emc-184/>

⁵ ვენეციის კომისიის ანგარიში „მართლმსაჯულების სისტემის დამოუკიდებლობის ევროპული სტანდარტები: ნაწილი II- პროკურატურის სისტემა“ §34

სრულად მიღწეული და როგორც ადგილობრივი, ისე საერთაშორისო ორგანიზაციები და სახალხო დამცველი⁶ მიუთითებენ შემდგომი ნაბიჯების გადადგმის საჭიროებაზე.

მთავარი პროკურორის შერჩევა/დანიშვნის რეფორმის კანონპროექტზე კომენტარებისას, ვენეციის კომისია მიუთითებს, რომ საპროკურორო საბჭო უფრო მეტად დემოკრატიული პროცედურებით უნდა კომპლექტდებოდეს, რაც უზრუნველყოფს მის დამოუკიდებლობასა და პოლიტიკურ ნეიტრალიტეტს.⁷ ვენეციის კომისიის მიერ მომზადებული დოკუმენტის თანახმად, იუსტიციის მინისტრის როლი მთავარი პროკურორის შერჩევა/დანიშვნის პროცესში და ზოგადად საპროკურორო საბჭოს საქმიანობაში უფრო მეტად უნდა იყოს შეზღუდული;⁸

მთავარი პროკურორის დანიშვნის ახალმა წესმა სამი მნიშვნელოვანი თემა უნდა გაითვალისწინოს: 1. მთავარი პროკურორის კანდიდატურების პროფესიული შერჩევის შემოტანა, რომელსაც სპეციალური საკონკურსო კომისია განახორციელებს; 2. მთავარი პროკურორის კანდიდატურის დასახელება (ნომინირება), რომელსაც საქართველოს პრეზიდენტი განახორციელებს; 2. მთავარი პროკურორის ხმათა 2/3-ით პარლამენტის მიერ არჩევა;

მთავარი პროკურორის დამოუკიდებლობის და შესაბამისად პროკურატურის მთელი სისტემის დამოუკიდებლობის დაცვის მიზნით, კონსტიტუციამ ასევე უნდა გაითვალისწინოს მთავარი პროკურატურის თანამდებობიდან გათავისუფლების განსაკუთრებული პროცედურა, იმპიჩმენტის მექანიზმი;

➤ *პროკურატურის ანგარიშვალდებულება*

პროკურატურა თავის საქმიანობაში შებოჭილი რჩება სისხლის სამართლის კანონმდებლობითა და სისხლისსამართლებრივი დევნის პოლიტიკის პრინციპებით, რომელსაც ამტკიცებს იუსტიციის მინისტრი. ამდენად, პროკურატურას წარმოექმნება გარკვეული ანგარიშვალდებულება როგორც მთავრობის ასევე პარლამენტის მიმართ, რომელიც ამავე დროს წარმოდგენილი იქნება, როგორც მთავარი პროკურორის დანიშვნისა და იმპიჩმენტის განხორციელების უფლებამოსილების მქონე ორგანო;

➤ *პროკურატურის ფინანსური დამოუკიდებლობის უზრუნველყოფა*

პროკურატურის ფინანსური დამოუკიდებლობის უზრუნველსაყოფად, მნიშვნელოვანია კონსტიტუციით განისაზღვროს პრინციპი, რომლის თანახმადაც, პროკურატურისათვის განკუთვნილი ბიუჯეტის საერთო მოცულობის შემცირება წინა წლის შესაბამის მოცულობასთან შედარებით შესაძლებელი იქნება მხოლოდ თავად ამ უწყების წინასწარი თანხმობით.

დამოუკიდებელი საგამომიებო მექანიზმი

სამართალდამცავი სისტემის წარმომადგენელთა მხრიდან ჩადენილი შესაძლო დანაშაულის/გადაცდომის ფაქტებზე ადეკვატური და ეფექტური რეაგირება კვლავ უმნიშვნელოვანეს

⁶ იხ. საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიში, 2015 წელი (მოკლე ვერსია) გვ. 81

⁷ იხ. CDL-AD(2015)039-e, Joint Opinion of the Venice Commission, the Consultative Council of European Prosecutors(CCPE) and OSCE office for Democratic institutions an Human Rights(OSCE/ODIHR), on the draft Amendments to the Law on the Prosecutors's Office of Georgia, endorsed by the Venice Commission at its 104th Plenary Session (Venice, 23-23 October 2015) გვ. 9

⁸ იქვე, გვ.10

პრობლემას წარმოადგენს. შინაგან საქმეთა სამინისტროს რთული სტრუქტურის და ინსტიტუციური ინტერესთა კონფლიქტის პირობებში (გენ. ინსპექციის დამოუკიდებლობის დაბალი ხარისხი; საგამოძიებო ქვემდებარეობის დაუცველობა და ა.შ), ობიექტურად რთულდება დღეს არსებული მექანიზმებით ამ პრობლემებთან გამკლავება.

ევროკავშირის სპეციალურ მრჩეველს კონსტიტუციურ, სამართლებრივ და ადამიანის უფლებათა საკითხებში, თომას ჰამარბერგს, არაერთხელ განუცხადებია დამოუკიდებელი საგამოძიებო მექანიზმის შექმნის მნიშვნელობა და აუცილებლობა. ჰამარბერგის ანგარიშში საზოგადოებასა და სამართალდამცველთა შორის ნდობის მიღწევისათვის ერთადერთ ქმედით მექანიზმად დამოუკიდებელი საგამოძიებო მექანიზმის ფორმირებაა დასახელებული.⁹ თუმცა, ამ ანგარიშის მომზადებამდე არაერთი საერთაშორისო ორგანიზაცია თუ ექსპერტი მიუთითებდა ამ რეფორმის გატარების საჭიროებაზე.¹⁰

პოლიციის თანამშრომელთა მხრიდან არასათანადო მოპყრობის ფაქტების გამოძიებისას არსებული პრობლემების აღმოფხვრის მიზნით, დამოუკიდებელი საგამოძიებო მექანიზმის შექმნის საჭიროებაზე მიუთითებს ასევე საქართველოს სახალხო დამცველი.¹¹

შესაბამისად, სამართალდამცავთა მიერ ჩადენილ დანაშაულებზე სამართლებრივი რეაგირების უფლებამოსილება უნდა მიენიჭოს დამოუკიდებელ საგამოძიებო ორგანოს, რომლის უფლებამოსილება და პარლამენტის წინაშე ანგარიშვალდებულება კონსტიტუციით უნდა განისაზღვროს.¹² ეს იქნება პოლიტიკური პასუხი უფლებების დარღვევის სისტემურ ფაქტებზე და განაცხადი ადამიანის უფლებების დაცვის მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით. ასევე მყარი კონსტიტუციური გარანტია იმისა, რომ სისტემა ისე აღარასოდეს არ ჩაიკეტება, როგორც წლების განმავლობაში იყო.

სასამართლო ხელისუფლება

სასამართლოსა და ინდივიდუალური მოსამართლის დამოუკიდებლობა სამართლიანი, ეფექტური და ხარისხიანი მართლმსაჯულების უმთავრესი გარანტიაა, რომლის განმტკიცებაც მიმდინარე და სამომავლო რეფორმების უპირველეს მიზანს უნდა წარმოადგენდეს.¹³ სასამართლო სისტემაში დღეს არსებული კრიზისი, არაჯანსაღი პროცესები და ხარვეზიანი კანონმდებლობა საფრთხეს უქმნის სამართლიანი სასამართლოს იდეას საქართველოში და მართლმსაჯულების მაძიებელი პირის კონსტიტუციურ უფლებას, მისი საქმე განიხილოს დამოუკიდებელმა, მიუკერძოებელმა და კომპეტენტურმა მოსამართლემ.¹⁴

⁹ T. Hammarberg, “Georgia in transition, Report on the Human Rights dimension: background, steps taken and remaining challenges” 2013, გვ.23

¹⁰ 2005 წელს, წამებისა და სხვა სასტიკი, არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობის ან დასჯის საკითხებზე სპეციალური მომხსენებელი მანფრედ ნოვაკი: იხ. Special Rapporteur on torture and other cruel, inhuman or degrading treatment or punishment, Manfred Nowak, Civil and Political Rights Including: The Questions of Torture and Detention, September 23, 2005, E/CN.4/2006/6/Add.3., §33; ასევე, 2010 წელს ევროპის საბჭოს ანგარიში: იხ. Country Report on Georgia, Combating ill-treatment and Impunity and Effective Investigation of ill-treatment by Jim Murdoch, 2010; ასევე, 2011 წელს ევროპის საბჭოს ადამიანის უფლებათა კომისარის ანგარიში - Report by T. Hammarberg, Commissioner for Human Rights of the Council of Europe, CommDH(2011)22, §90

¹¹ იხ. პრევენციის ეროვნული მექანიზმის 2015 წლის ანგარიში

¹² იხ. http://www.osgf.ge/index.php?lang_id=geo&sec_id=15&info_id=4070

¹³ იხ. მოსამართლეთა პასუხისმგებლობის სისტემის ანალიზი, გვ. 6

¹⁴ იხ. <https://emc.org.ge/2016/04/20/emc-35/>

შესაბამისად, დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი სასამართლო ხელისუფლების უზრუნველსაყოფად მიზანშეწონილად მიგვაჩნია კონსტიტუციის მეხუთე თავში (სასამართლო ხელისუფლება) შემდეგი ცვლილებების განხორციელება:

- მიეთითოს, რომ მოსამართლის მიერ მართლმსაჯულების განხორციელების პროცესში დაშვებული სამართლებრივი შეცდომა არ შეიძლება გახდეს მისი სამართლებრივი ან დისციპლინური პასუხისმგებლობის ერთადერთი საფუძველი;
- საქართველოს კონსტიტუციის 85-ე მუხლის მესამე პუნქტის ჩანაწერი, „სამართალწარმოება ხორციელდება მხარეთა თანასწორობისა და შეჯიბრებითობის საფუძველზე“, იცავს ადამიანის ისეთ ფუნდამენტურ უფლებას, როგორცაა სამართლიანი სასამართლოს უფლება, შესაბამისად ის საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლში უნდა იქნას გადატანილი;
- უფრო კონკრეტულად უნდა განისაზღვროს მოსამართლის სხვა თანამდებობაზე გადაყვანის პროცედურა, რომლითაც მოსამართლე შესაბამისი გარანტიებით აღიჭურვება. მოსამართლის სხვა სამოსამართლო თანამდებობაზე გადაყვანა დასაშვებია უნდა იყოს მისი თანხმობის ან შესაბამისი სასამართლოს ლიკვიდაციის შემთხვევაში. ასეთ დროს მოსამართლის სოციალური მდგომარეობა არ უნდა გაუარესდეს; ვენეციის კომისია მუდმივად უჭერს მხარს მოსამართლეთა შეუცვლელობის პრინციპის კონსტიტუციით გარანტირებას და მიუთითებს, რომ მოსამართლის გადაყვანა მათი სურვილის გარეშე, დასაშვებია მხოლოდ გამონაკლის შემთხვევებში;¹⁵
- მოსამართლეთათვის იმუნიტეტის მოხსნის უფლებამოსილება ერთპიროვნული გადაწყვეტილების ნაცვლად კოლეგიურ ორგანოს უნდა მიენიჭოს. იმუნიტეტის მოხსნის საკითხი იუსტიციის უმაღლესი საბჭოს კომპეტენციაში უნდა მოექცეს;
- კონსტიტუციიდან ამოღებულ უნდა იქნას ჩანაწერი, რომელიც მოსამართლეთა გამოსაცდელი ვადით დანიშვნის შესაძლებლობას იძლევა და მოსამართლეთა განწესება უნდა განხორციელდეს უვადოდ, საპენსიო ასაკის მიღწევამდე. მოსამართლეთა გამოსაცდელი ვადით დანიშვნის წესი არაერთხელ ყოფილა ვენეციის კომისიის მკაცრი კრიტიკის ობიექტი. „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანულ კანონში ცვლილებების კანონპროექტზე ერთობლივ დასკვნაში ვენეციის კომისია კვლავ მიუთითებს, რომ მოსამართლეთა დამოუკიდებლობისა და შეუცვლელობის პრინციპის სრულად დაცვისთვის, მოსამართლეთა დანიშვნისა და დაწინაურების კრიტერიუმი ნათლად უნდა გაიწეროს და მოსამართლეთა გამოსაცდელი ვადა უნდა იქნას ამოღებული „საერთო სასამართლოების შესახებ“ ორგანული კანონიდან და კონსტიტუციიდან;¹⁶
- სასამართლო ხელისუფლების დაფინანსება უნდა უზრუნველყოფდეს მისი კონსტიტუციური უფლებამოსილებების დამოუკიდებლად და ჯეროვნად განხორციელებას. სასამართლო ხელისუფლებისთვის განკუთვნილი ბიუჯეტის საერთო ოდენობის შემცირება წინა წლის შესაბამის ოდენობასთან შედარებით შესაძლებელი უნდა იყოს მხოლოდ საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს, ხოლო საკონსტიტუციო სასამართლოს შემთხვევაში - საკონსტიტუციო სასამართლოს,

¹⁵ იხ. ვენეციის კომისიის ანგარიში სასამართლო სისტემის დამოუკიდებლობის შესახებ, ნაწილი პირველი: მოსამართლეთა დამოუკიდებლობა, §43

¹⁶ იხ. ვენეციის კომისიისა და ევროპის საბჭოს ადამიანის უფლებათა და კანონის უზენაესობის გენერალური დირექტორატის (DGI) ადამიანის უფლებათა დირექტორატის (DHR) ერთობლივი დასკვნა „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანულ კანონში ცვლილებების კანონპროექტზე, §23

წინასწარი თანხმობით. სასამართლო ხელისუფლების ბიუჯეტზე საუბრისას ვენეციის კომისია მიუთითებს, რომ სასამართლო დაფინანსებასთან დაკავშირებული გადაწყვეტილებები უნდა მიიღებოდეს სასამართლო დამოუკიდებლობის პრინციპის უმკაცრესი პატივისცემით და პარლამენტისათვის წარდგენილ ბიუჯეტთან დაკავშირებით სასამართლოს უნდა ჰქონდეს საკუთარი პოზიციის დაფიქსირების შესაძლებლობა;¹⁷

➤ იუსტიციის უმაღლესი საბჭოს უფლებამოსილებების კონსტიტუციით გათვალისწინებული ჩამონათვალი უნდა გაფართოვდეს და მიეთითოს, რომ საერთო სასამართლოებისა და მოსამართლის დამოუკიდებლობის უზრუნველყოფის, მოსამართლეთა თანამდებობაზე დანიშვნის, დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრების, თანამდებობიდან გათავისუფლებისა და სხვა ამოცანების შესრულების მიზნით იქმნება საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო;

➤ კონსტიტუციით უნდა განისაზღვროს უზენაესი სასამართლოს მოსამართლეთა კონკრეტული ოდენობა.

➤ საკონსტიტუციო სასამართლოს დაკომპლექტების პროცესში, ნაცვლად უზენაესი სასამართლოს პლენუმისა, საერთო სასამართლოების კვოტით წარსადგენი 3 წევრის არჩევის უფლებამოსილება უნდა გადაეცეს მოსამართლეთა კონფერენციას.

¹⁷ იხ. ვენეციის კომისიის ანგარიში სასამართლო სისტემის დამოუკიდებლობის შესახებ, ნაწილი პირველი: მოსამართლეთა დამოუკიდებლობა, §55